355

№ 322. ხუთშაბათი, 25 სექტემბერი. 1896-1897 ხუთშაბათი, 25 სექტემბერი, № 322.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
აქ მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ იპირველ გვერდზე 10 კაპ
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

თავად-აზნაურთა თეატრი

ამ ცოტას ხანში დაიწყება წარმოდგენა განთქმულის

ლიუმიერის სინემატოგრაფისა

(მოძრავი ცხოველი სურათები) (10—4)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალო სკოლა

გადავიდა ახალს შენობაში: ბარიატინსკ. ქ. № 10

მიიღება ყოველ-გვარი ხელ-საქმე ტანისსაცმელებისა და კაბების ჭრა-კერვა

საქმეს დროზე და სუფთად ასრულებენ

ფასები ზომიერია.

Школа кройки и шитья О-ва грузинскихъ женщинъ

Барят. ул. д. Федорова № 10.

Пріемъ заказовъ. Исполненіе работъ аккуратное. Цѣны умѣренныя (8—4)

ექიმი კ. კ. თოფურიძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე

დილით—8—10 საათამდე **საღამოთი**—5—7 საათამდე

ხოლო სამშაბათსა, პარასკევსა და კვირაობით საღამოთი

ელისაბედის ქუჩა, № 27 (თვალის სამკურნალოს გვერდით)

ДОКТОРЪ К. К. ТОПУРИДЗЕ

Пріемъ ежедневно. Елисаветинская № 27. (20—15)

სასწავლებელი და პანსიონი

ა. ტერ-აკოპოვისა

მოწვეულია უმაღლესს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული მასწავლებლები სპეციალისტები და 1 ენკენისთვიდან იღებს მოწაფეებს, როგორც სასწავლებელში მოსამზადებლად, აგრეთვე სასწავლებელში მყოფთა დასახმარებლად გიმნაზიებისა, რეალურისა და სხვა სასწავლებლების მოწაფეთა მე-5 კლასამდე.

იქვე მიიღებიან პანსიონერებად სხვა სასწავლებლების მოწაფენიც. ქართველებს ქართულს ენას ასწავლის სიონის ტაძრის მღვდელი ანტონ თოთიბაძე.

ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11, მესამე გიმნაზიის გვერდზე.

УЧИЛИЩЕ и ПАНСІОНЪ

А. Теръ-Акопова

Тифлисъ, Гановская № 11 (10—8)

გამოვიდა და ისყიდება

ახლად შეკეთილი

სურათებიანი ფოსტის ქაღალდი

(აქვს ფერადად ამირანის სურათი)

ფასი თითო თაბახისა თითო კაპეიკი

ასობით 70 კაპ.

ვინც ერთბაშად 500 თაბახს იყიდის, იმას 3 მან. დაეთმობა.

უმთავრესი საწყობი: ქ. ბათომში მიხეილ გაჩეჩილაძესთან და ქ. ქუთაისში ილია მაღლაკელიძესთან. მსურველთ შეუძლიანთ ფას-დადებითაც გამოიწერონ. (15—15)

г. Батумъ. М. Гачечиладзе.

Торговый домъ
С. П. Павловъ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.



Торговый домъ
С. П. ПАВЛОВЪ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Тел фонъ 349.

სავაჭრო სახლი

ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.

მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანეთამდე,

ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.

მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგებით.

ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად.** (100—80 წ.)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის. ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და სხვა სისქისა და განისა.

ფასი მასალებისა მეტად იაფია

უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.

მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.

ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*

ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.

Кодоры (Сухум. окр.)

Главный складъ въ Батумѣ. 300—196)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნების მაღაზიაში

იმედაშვილისა, ჭელიძისა და ორმოცაძის გამოცემა № 5

გლეხის ნაამბობი

ტეტია და ტირაკუზა

და სხვა ლექსები დ. მაჩხანელისა

სუფთად დაბეჭდილი, შეიცავს 39 გვერდს 5 კაპ.

მსურველთ შეუძლიანთ დაიბარონ ამ მისამართით:

Книжная торговля І. Имедашвили и С. Челидзе

Тифлисъ. (5—1)

За 5 рублей

въ мѣсяцъ **учитель** созваніе.ъ приготовляетъ въ 1 классъ, въ остальные—по соглашенію. Видѣть отъ 3 до 6 ч. вечера. *Михайловская ул. въ оградѣ Армянской церкви* верхный этажъ, близъ памят. Воронцову.

5 მანათად

თვეში გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს ბავშვებს პირველ კლასში. მოლაპარაკება შეიძლება 3—6 საათამდე. მიხეილის ქ., სომხის ეკკლესიის ეზოში, ზემო სართული, ვორონცოვის ძეგლის ახლო. (10—3)

მთავრობისაგან ნება დართული

პანსიონი და სასწავლებელი

მასწავლებელი ქალის

ნ. დიდებულიძისა

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ანდერსენის სახ. № 100.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.

ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.

მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.

პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)

მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ

Учительницы

Н. ДИДЕБУЛИДЗЕ

Тифлисъ, Михайловск. ул. № 100. Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полными пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для учениць гимназіи. Обученіе музыкѣ. (150—8)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. მ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შიზღვან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*

Тифлсиъ, противъ памятн. Воронцову.

ახლად გამართული

მორთული ოთახები

„ოდესა“

ტფილისი, კროველნი ქუჩა (სალდათის ბაზარში) შუა ქალაქში

სისუფთავე და იაფობა

ნომრები 50 კაპ. 2 მანეთამდე დღე-ღამე.

თვიურად 10 მან.—40 მანათ.

Меблированные комнаты

„ОДЕССА“

Чистота и дешевизна (6—2)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.

შინაგან და ნერვების ავადმოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერატი.**

დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. [illegible]**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია.**

Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი

⁂ **დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული კავკასიაში.** 22 ენკენისთვეს მთელი ბათომი გათენებიდამვე ფეხზე იდგა და მშვენივრად მორთული იყო ბაირაღებით. დილის 6 საათზე ნავთ სადგურზე თავი მოიყარეს: კავკასიის მთავარმართებელმა თავ. გოლიცინმა, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა, ქალაქის მოურავმა ლ. ასათიანმა და სხვა საპატიო პირებმა. მეათე საათზე დედოფალი გამობრძანდა თავის ოთახიდამ; ზღვაოსნები მუსიკით მიეგებნენ მას. დედოფალი გამოემშვიდობა გემის უფროსებს და ზღვაოსნებს, მადლობა უბრძანა მათ და თავის შვილებით და ამალით გადაბრძანდა საგანგებო მატარებელში. დაიძრა თუარა მატარებელი ბორჯომისაკენ, ბათომის ეკლესიაში ადგილობრივმა მღვდელმა პარაკლისი გადიხადა...

241 ვერსის მანძილზე (ბათომიდამ ბორჯომამდე) მატარებელი სულ 7 სადგურზე შეჩერდა; გზა და გზა ყველა სადგურების შენობები მშვენივრად იყო მორთული ყვავილებით და ბაირაღებით, განსაკუთრებით, სუფსა, სამტრედია, ყვირილა და ხაშური...

სუფსის სადგურზე ადგილობრივის სკოლის მოწაფეებმა იმღერეს რუსეთის სახალხო ჰიმნი და ხალხიც გურულის სიმღერებით მიეგება დედოფალს, რომელმაც სიამოვნებით მოისმინა და მადლობა გამოუცხადა მომღერლებს. ბორჯომში მატარებელი მივიდა საღამოს 7 საათზე. იქ მიეგებნენ დედოფალს: დიდი მთავარი გიორგი მიხეილის-ძე, ტფილისის გუბერნატორი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ი. ი. მუხრან-ბატონი, უგანათ. თავ. ტ. დ. გრუზინსკისა ქალებითურთ და სხვ. თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა საუცხოვო თაიგულები მიართვა დედოფალსა და დიდს მთავრინას ოლგა ალექსანდრეს ასულს. სადგურიდამ დედოფალი, დიდი მთავარნი და მთავრინანი ამალით წაბრძანდნენ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის სასახლეში.

23 ენკენისთვეს დილის ათს საათზე, დედოფალი შვილებით და ამალით წაბრძანდნენ აბასთუმანში მემკვიდრე ცესარევიჩი გიორგი ალექსანდრეს ძესთან. მისს უდიდებულესობას ახლდნენ: კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი და ტფილისის გუბერნატორი დეისტ. სტ. სოვ. ზიკოვი. („aКвказъ“)

⁂ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** დარბაზში, 23 ენკენისთვეს, მეურნეობის სამინისტროსაგან გამოგზავნილმა ე. ს. მერჟეევსკიმ გააცნო დამსწრენი კავკასიაში მეაბრეშუმეობისა, მაუდისა, შალისა და ხალების წარმოების ვითარება და ის აზრი წარმოსთქვა, რომ ეგ წარმოებანი არა სასურველს მდგომარეობაში არიანო; მოკლედ აღნუსხა ამის მიზეზებიც და თავის მხრივ შემდეგი ზომები ურჩია ჩვენს მეურნეთა ამ საქმის წინ წასაწევად: 1) დაარსდეს კავკასიის ერთ-ერთს ქალაქში ცენტრალი საქსოვი ქარხანა, საიდამაც დახელოვნებული ოსტატები გამოდიოდნენ და სხვა-და-სხვა ალაგებში გაავრცელონ რიგიანი წარმოება; 2) რადგან ამ ქარხანას სკოლის ხასიათი ექმნება, დაარსდეს რამოდენიმე სტიპენდია შეუძლებელ შეგირდთათვის და ამ სტიპენდიის გამგეთ „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება“ იქმნეს; 3) დაოსტატებულს შეგირდებს მიეცეთ სხვა და სხვა საჭირო მანქანები შეღავათიანის პირობებით; 4) გავრცელდეს დაბა-სოფლებში იაფად საუკეთესო იარაღები და მანქანები, 5) ტფილისში დაარსდეს ამ იარაღების საწყობები, 6) შემუშავდეს და შემოღებულ იქმნას საერთო სავალდებულო „წესდება“ ყველა „მეაბრეშუმეთა ამხანაგობებისათვის“ და კერძო მწარმოებელთათვის და სხ. და სხვა.

ბევრი ბაასი გამოიწვია ამ მოხსენებამ და საზოგადოდ ყველანი ეთანხმებოდნენ ბ. მერჟეევსკის მაგრა გარდაწყვეტით ვერა დასკვნას ვერ დაადგნენ, ამიტომ ამ საკითხის განხილვა გადიდვა შემდეგის კრებისათვის, რომელიც ალბად მომავალს სამშაბათს მოხდება.

იმ დროისათვის ჩვენც ვაცნობებთ მკითხველებს დაწვრილებით ამ საქმის გარემოებას.

⁂ **საერო განათლების სამინისტროს** განკარგულება მოუხდენია, რომ გიმნაზიებსა, პროგიმნაზიებში და რეალურ სასწავლებელში ძველის ენების, გეოგრაფიის, ისტორიის და რუსული ენის მასწავლებელის ადგილებზე მხოლოდ ისეთი პირები იქმნან ხოლმე მიღებულნი, რომელთაც სწავლა დაუმთავრებიათ პეტერბურგისა და ნეჟინის ისტორია-ფილოლოღიურს ინსტიტუტში და შესაფერი მოწმობები აქვთ.

ამის გამო ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენმა ახალგაზდებმა, რომელნიც მასწავლებლობას აპირებენ და სწავლის დასამთავრებლად რუსეთში მიემგზავრებიან, სახეში იქონიონ ეგ განკარგულება.

⁂ **ცხენის რკინის გზის ვაგონების შესაჩერებელი ადგილები.** ქალაქის გამგეობას აღუნიშნავს ქალაქში 47 ალაგი, სადაც უნდა შეჩერდნენ ხოლმე მიმოსვლის დროს ვაგონები, ამ ადგილებზე თუჯის ბოძებსა ჰსმენ ასეთის წარწერით „ვაგონების შეჩერება“. ქალაქის სხვა ადგილებზე ვაგონები არ შეჩერდებიან მოგზაურთათვის.

⁂ **ახალი ტანთ-საცმელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე**[illegible] მთავრობას განზრახვა აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეთათვის შემოღებულ იქმნას იმ წესისავე ტანთ-საცმელი, როგორიც ამ ბოლოს დაწესებულია სამოსამართლო უწყების მოხელეთათვის.

⁂ **ქალაქში პურის გაჭრობის შესახებ.** სავაჭრო-საოჯახო პოლიციის უფროსს ზედამხედველს ა. მ. ჯაბადარს შეუმჩნევია, რომ ქალაქში მესამე ხარისხის პურს გასასყიდად ცუდის თვისების ფქვილისაგან აცხობენ და ამიტომ წინადადება შეუტანია გამგეობაში, რომ თვით გამგეობამ სანიმუშოდ გამოაცხოს ყველა ხარისხის პური და გამოიკვლიოს ფქვილის თვისებანი.

⁂ **თავ. ნიკ. დიასამიძის მოკვლის გამო.** თავ. ნ. დიასამიძის მოკვლაში მონაწილეობის მიღება ექვს კაცს ჰბრალდებოდა და ყველანი დაპატიმრებულნი იყვნენ. ორი მათგანი—შიო და ივანე ქართველიშვილნი ოლქის სასამართლომ ბ. ბრალმდებელის წინადადების თანახმად გაუნთავისუფლებია, რადგან საკმაოდ არ უმტკიცდებათ იმათ დანაშაული.

⁂ **საზიზღარი და მხეცი მამა.** გაზ. „ტფილ. ლისტ.“ შემდეგი დაწვრილებითი ცნობები შეუკრებია იმ მხეცი მამის შესახებ, რომელსაც თავისი 18 წლის ქალი გაუუპატიურებია ბ. ლ—კი სამსახურს გარეშე მყოფი ჯარის-კაცი ყოფილა და დიდ-ხანს მზარეულობდა. ცოლი განშორებია მას და მუდამ კისლოვოდსკში სცხოვრობს. რამდენიმე შვილი ჰყავს, რომელთაგან მამასთან მხოლოდ ის საბრალო ქალიშვილი სცხოვრობდა, დანარჩენები-კი დედასთან ყოფილან. ამ ზაფხულს საცოდავი ქალი დედასთან წასულა და იქიდამ მეორე დაც ჩამოუყვანია ტფილისში.

⁂ **უბედური შემთხვევა რკინის გზაზე.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ. „ჩაქვა“-სთან, როდესაც მატარებელი მიექანებოდა, ერთი კონდუქტორთაგანი გზის ლიანდაგზე [illegible] ნზე გახტომა; საბრალოს ვერ დაუნახავს ტელეგრაფის ბოძი და ზურგით სტაკებია მას და ისევ ლიანდაგზე დავარდნილა; ამასობაში მატარებელსაც მოუსწრია, ქვეშ მოჰქცევია საბრალო კონდუქტორი და თავის კეფა გაუტეხია.

⁂ **ამერიკის ვაზის გაშენება კახეთში.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს განზრახვა აქვს, თელავის მაზრაში გამართოს სად-სანერგე ამერიკის ვაზისა იმ აზრით, რომ

რაც შეიძლება [illegible]
კახეთში ამ ვაზის გაშენება, რადგა
ყველასთვის ცხადია, რომ იგი უფრ
მედგრად უძლებს სხვა და სხვა ვ
ზის ავადმყოფობებს. ამ ბაღის გ
მგედ ასახელებენ აგრონომს არტე
სტეფანის-ძე ფირალოვს.

რა თქმა უნდა ეგ განზრახვა მ
ტად სასარგებლოდ საყურადღებო
და მთელი კახეთი სიხარულით მ
ეგება მას.

⁂ **ბ. სახელმწიფო ქონებათა მმ
რთველის გამგზავრება.** ტფილის
გუბერნიის სახელმწიფო ქონებათ
მმართველი ბ. ბეკ.—ამ დღეებ
გაემგზავრება მისდამი რწმუნებულ
მამულების დასათვალიერებლად (
საქმეთა წარმოების სარევიზიოდ.

⁂ **ზნეობით დაცემულ ქალთა
ვის თავ შესაფარი.** ხარკოვის გაზ
თები იუწყებიან, რომ ქ. ხარკო
ში არსდება „წმ. მაგდალინას თა
შესაფარი ზნეობით დაცემულ ქალ
თათვის.“ ასეთი თავშესაფარი ი
არსად არ არის საჭირო, როგორ
ტფილისში და სხვა ჩვენს ქალაქე
ში, სადაც ურიცხვია გზა დაბნეუ
ცხოვართა რაოდენობა.

⁂ **ქ. ტფილისში შემდეგი ბ
როტ-მოქმედება და უბედური შე
ხვევანი** მომხდარა ენკენისთვის პ
ველ ნახევარში: ქურდობა—4,
რდობის განზრახვა—1, ახლად
ბადებულის ბავშვის მიგდება—
მკვლელობა—2, მკვლელობის გ
ზრახვა—1, თავის მოკვლა—1,
ცის დაჭრა—1, ცხედარი უნახავთ
[illegible]
რი შემთხვევით სიკვდილი—1
ცეცხლის გაჩენა—1.

⁂ **უპირო ხელოსნის დასჯ**
უკვე მოხსენებული იყო თქვენს
ტივცემულს გაზეთში ამ წლის მ
სში, რომ მესაათეს სტეფანე აივაზ
ანცს მიეცა შესაკეთებლად ჩ
ოქროს საათი. რამდენისამე დღ
შემდეგ საათი გაკეთებული დამ
რუნა, გაკეთებისათვის ხელ-ფას
ხუთი მანათი მიეცა, ხოლო დ
რუნებისათანავე საათი გაფუჭდა.

ხელოსანთა ამხანაგობა უცხოეთში.

სხვა და სხვა გვარ საზოგადოებათა და ამხანაგობათა შორის ევროპაში ყველაზედ ბევრი ბაასი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ თავითვე ხელოსანთა ამხანაგობამ. ერთის მხრივ იყვნენ პირნი, რომელნიც ალტაცებით ამტკიცებდნენ დიდს სარგებლობას მუშა-ხელოსნისთვისაც და საზოგადოებისთვისაც ასეთის ამხანაგობებისას. მეორეს მხრივ მტერნი ასეთის „ამხანაგობისა“ ამტკიცებდნენ, რომ ასეთი საზოგადო სახელოსნო შეუძლებელია, ნაყოფია მოცლილი კაცების სენებისა. მომხრენი აზვიადებდნენ საქმეს. ამბობდენ, რომ ოღონდ დავაარსოთ მალე ხელოსანთა ამხანაგობა და მსწრაფლ მოისპობა ხელოსანთა შორის ლოთობა, ფლანგვა, ცუდი სიტყვა-პასუხი, [illegible] მათ შორის მსწრაფლ [illegible]-განათლება, შეძლება, ქონება [illegible].

გამოცდილებამ დაანახვა ყველას, რომ ორივენი [illegible]ცდებოდნენ: როგორც მტერნი, [illegible] ალტაცებულნი მოტრფიალენი „ხელოსანთა ამხანაგობისა“. მტერნი სცდებოდნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ ასეთი ამხანაგობა შეუძლებელიაო. მოტრფიალენიც მალე დარწმუნდნენ, რომ „ხელოსანთა ამხანაგობას“ არ ძალუძს უცებ, მსწრაფლ დააარსოს ხელოსანთა შორის მსოფლიო სამოთხე; რომ განათლება, ზნეობის განსპეტაკება, გამდიდრება, ქონების შეძენა,—ისეთი საგნები არიან, რომელნიც მოითხოვენ თვის დასამყარებლად კაცთა შორის ხანგრძლივს მუშაობას, რამდენისამე თაობის თავგანწირულს შრომას, რომ ფენიქსებრ განათლება ცხოვრებისა მხოლოდ ზღაპარშია შესაძლებელი.

გარდა ამისა გადასულს და ალმატებულ მოტრფიალეთა სიტყვა-ქადაგებას,—თუიკითხავთ,—ზარალიც მოჰქონდა, ხელს უშლიდა წარმატებას იმ საქმისას, რომლის თავ-გადაკლული მონატრულნიც იყვნენ, ე. ი. ხელოსანთა ამხანაგობის წარმატებას. რანაირათო? იკითხავთ. საქმე ის არის, რომ ხელოსნები, აღგზნებულნი და ალტაცებულნი აუარებელის სარგებლობით, რომელსაც მათ უქადდა „ამხანაგობა.“ ადვილად სთანხმდებოდნენ „ამხანაგობის“ დაარსებას, ხოლო ერთი-ორის წლის განმავლობაში რა დაინახავდნენ, რომ ისინი არც თვალ-საჩინოდ გამდიდრდნენ, არც-რა სხვა-რაჲ მოხდა უებარი და მოულოდნელი მათს ცხოვრებაში, ისევ თავს ანებებდნენ „ამხანაგობას“. ეჰ, ამაშიაც მოვსტყუვდით, აქედამაც არა გამოდის-რაო!

აი რატომ არის საზარალო და მავნებელი წინდაწინვე გაზვიადება საქმისა და ოქროს მადნების დაპირება. ცხოვრების პირობების გამოცვლა-გაუმჯობესობა მხოლოდ თანდათანობით და ნელ-ნელა შეიძლება.

მაინცა და მაინცა გამოცდილებამ ევროპისამ დაარწმუნა ქვეყანა „ხელოსანთა ამხანაგობის“ სარგებლობაში. ამიტომ სასარგებლო იქნება გავიცნოთ მოკლე ისტორია ზოგიერთა ამხანაგობათა.

„ხელოსანთა ამხანაგობები“ საფრანგეთში, მაგალითებრ, ორნაირნი იყვნენ: ერთნი, რომელთაც მთავრობამ გაუწია ფულით დახმარება; მეორენი, რომელთაც თავიანთის ნაწვავ-ნადაგის გროშებით დაიწყეს საქმე. ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ვიცოდეთ მეორე ჯურის ამხანაგობათა ვითარება: ვიცოდეთ, თუ რა გზით, რა თანხით მოახერხეს-მოაგვარეს საამხანაგო საქმე. ასეთს ამხანაგობათა შორის ყველაზედ საინტერესოა ფორტეპიანოს მკეთებელ ხელოსანთა ამხანაგობა, რომელიც დაარსდა პარიჟში 1848 წელს.

ამ წელს 500 ხელოსანმა—მუშამ და ზოგმაც ხელოსანმა—პატრონმა შეადგინეს ამხანაგობა. დაადგინეს, რომ კვირაში ყველა მუშასთვის—ხელოსნისთვის, ეძლივნათ თანაბრად 21 ფრანკი და ივარაუდეს, რომ ექსს თვეს უნდა გასძლონ თავიანთის ხარჯით ვინიცობაა საქმე-შეკვეთა არა იყოს-რა. მთავრობას სთხოვეს სესხათ 140,000 ფრანკი, მაგრამ უარი მიიღეს. ამ რიგად ეს ამოდენა ხალხი უთანხოთ შეუდგა საქმეს, მაგრამ არ გასულა ერთი კვირაც, რომ შეშინდნენ ხელოსნები და ერთი-მეორეზედ იწყეს „ამხანაგობიდამ“ ხელის აღება. ეგონათ,

რაკი გავხსნით ამხანაგობას, უც
იგრიალებს ქვეყანა და ჩვენ მოგ
წყდებაო. ეს არ [illegible] უც
და უმრავლესობას გული გაუტყდ
იმედი დაეკარგა და ხელი აიღო
ერთო შრომაზედ. წავიდ-წამოვ
დნენ, თუ რამ ცოტა თანხა ჰქ
ნდათ გაიტანეს და ამხანაგობა უნ
დაშლილიყო... რომ 14 უჯიათ
ჯიუტს მუშა-ხელოსანს, ყველაზ
მეტად ღარიბებს და შეუძლებლებ
არ გადაეწყვიტად: დეე წავიდნ
ჩვენი ძმები-ამხანაგები, ჩვენ ნუ ვ
ღალატებთ ერთმანეთს, ჩვენ დავ
წყოთ საამხანაგო საქმეო.

კარგი, მაგრამ თანხა! არც ერთ
ამ 14 ხელოსანთაგანს არა ჰქონ
არაფრის შეძლება. მაგრამ უთანხ
თაც აბა რა გაკეთდებოდა. მაშ
გადასწყვიტეს: ძმებო, უნდა გავი
როთ საქმე და საიდამაც იქნება (
არ იქმნება ცოტა ოდენი თანხა შ
ვიძინოთო. აი რა ღონეს მიჰმართ
ამ საკვირველმა კაცებმა. ვისაც ჰქ
ნდა ორი წყვილი საცვალი, ერთ
გაჰყიდა ან დააგირავა, მათმა ცოლ
ბმა დააგირავეს ნიშნობის ბეჭდე
და საყურეები; ერთის სიტყვით თ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ დავუბრუნე უკან და ვსთხოვე კარგად გაეკეთებია. კარგა ხნის შემდეგ მოვსთხოვე საათი და მითხრა—საათი ჯერ არ არის მზადო. ასე რამდენიმე დღე მატარა და ბოლოს მითხრა—საათი გავყიდეო. მაშინვე მივმართე პირველი ნაწილის ბოქაულს. ბოქაულმა დაიბარა და ჰკითხა—რა უყავი ამ კაცის საათი? გავყიდეო. ფული რა უყავით? შევჭამეო—უპასუხა. ბოქაულმა ოქმი შეუყენა და გადასცა სასამართლოში. 23 ენკენისთვეს გაირჩა ეგ საქმე მომრიგებელ-სასამართლოში. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო სტეფანე აივაზიანცი და მიუსაჯა ათი თვე ციხე. აწი მაინც იმედი არის, რომ სხვა ხელოსნები გაფრთხილდებიან.

დ. ხუნდაძე.

⁂ **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ გუშინ ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული პირველი წიგნი ,,ქართლის ცხოვრებისა''. წიგნი შესდგება ექვს ნახევარ ბეჭდურ თაბახიდან (210 გვერდი); სუფთად არის დასტამბული და შედარებით მეტად იაფია—ორი აბაზი.

ამ გამოცემას ჩვენ თავისს დროზე დაწვრილებით გავარჩევთ. ეხლა მხოლოდ შევნიშნავთ ერთსა: წიგნი იმავე შეცდომით არის დაბეჭდილი, როგორც პირველი გამოცემა და რომლის შეცდომები უკვე საკმაოდ გამორკვეულია ჩვენის ისტორიის მცოდნეთაგან. ჩვენ მხოლოდ ამაზე ვჩიოდით და მიტომ ვაფრთხილებდით ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს, არ ეკისრნა ის, რისიც შესრულება არ ძალ-უძ- [illegible] შრომის მოყვარეობისა. ჩვენი გულწრფელი რჩევა, როგორც მოსალოდნელი იყო, იწყინა ზ. ჭიჭინაძემ და ეხლა თვით წიგნშიაც მიუკერებია ორი გვერდი თავისს გოდება-ჩივილისა: ,,ცნობის ფურცელმა'' შეაშურა ჩემი განზრახვა და ხელი შემიშალაო... აბა რა გვეთქმის ასეთ ბავშვურ საყვედურზე: ,,ღმერთო, შეუნდევ, რამეთუ არ უწყიან, რასაც იქმონენ''. განა ვისმე რამ შეცდომა შენიშნო და თვალი აუხილო, ასეთს მხილებას შურის-ძიება უნდა ეწოდოს?.. მეგობრულად ვურჩევთ პატივცემულ ზ. ჭიჭინაძეს, შურის და მტრობის მოციქულნი საცმე სხვაგან მოსძებნოს, ეგ ბევრად მართებული და ადვილიც იქნება მისთვის.

⁂ **სახალხო უნივერსიტეტის გამო.** ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მივმართოთ პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას შემდეგის წერილით. ამ წლის დამდეგში რუსულ გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ პეტერბურგში არსდება სახალხო უნივერსიტეტი, (народный университетъ), რომელშიაც, გაზეთების სიტყვით, სწავლა დაიწყება ამ წლის სამოსწავლო წლიდანაო. რასაკვირველია ასეთის უნივერსიტეტის დაარსება მთელს რუსეთის მკვიდრთათვისაც სასიამოვნოა, რადგანაც ხსენებული უნივერსიტეტი მისი სახელ-წოდების მიხედვით, ყველა, ცოტად თუ ბევრათ, განვითარებულთათვის უნდა იქმნეს მისაღწევი. მეტად სასიხარულოა განსაკუთრებით ჩვენთვის, რადგანაც სწავლა-განათლებით სხვებზე საგრძნობლად უკან ვართ ჩამორჩენილი, თუმცა-ღა სწავლის სურვილი საკმაოდა გვაქვს. თხოვნით მივმართავს პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს, რომელისამე ქართულ გამოცემის საშუალებით გვამცნონ ხსენებულის უნივერსიტეტის დაწვრილებითი პროგრამმა.

პავლე კალანდაძე.

⁂ [illegible] „[illegible]ნის“ განკარგულება. ნიკოლოზის ქუჩაზედ არის ერთი სასტუმრო, რომელშიაც მოსამსახურე ბიჭები დამწყვდეულნი არიან. სასტუმროს „ალა-ბატონის ბრძანებით ქუჩისკენ გამოსავალი კარები, სადაც მოსამსახურეები სცხოვრობენ ლურსმნით დაჭედილია და ჰაერის მოძრაობა სრულებით არ არის, რის გამო საძაგელი სუნი ტრიალებს. ამისათვის მოსამსახურეები ხშირად ავად ხდებიან. წინედ ამ სასტუმროს პატრონს გამოცხადებული ჰქონდა ექიმი ბ-ნი გედევანიშვილისაგან, რომ ქუჩისაკენ კარები გაეღო, რომ წმინდა ჰაერს ემუშავნა და მით სისუფთავე ყოფილიყო და დაავალა სასტუმროს პატრონს, რომ კარები უეჭველად ღია ჰქონოდა მოსამსახურეებისათვის, მაგრამ მას შემდეგ „ალა-ბატონმა“ ისევ გადაჭედა კარები და ეხლა ისევ ავად ხდებიან მოსამსახურენი. სასურველია, რომ ამ გარემოებას სასტიკ ყურადღებას მიაქცევდეს ჩვენი პატივცემული ექიმი გედევანიშვილი, ან ადგილობრივი პოლიცია, ან სანიტართა კომისია.

⁂ **შემოწირულება.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ პატივცემულის გაზეთის „ცნ. ფ.“ საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ბ. ყარამან მამულაიშვილს, ლუკა ცისკარაძეს და ფილიპე ბურჭულაძეს, რომელთაც შემოქმედის წიგნთ-საცავს შემოსწირეს: პირველმა ორმა სამ-სამი მანეთი, მესამემ-კი ორი მანეთი.

შემოქმედის წიგნთ-საცავის გამგეობა.

⁂ **დ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი). **თავ-გასულ „აბლაკატის“ საქციელი.** გასულ კვირას ერთს დუქანში ხალხი შეგროვილიყო. შუაში იდგა ერთი ახალგაზდა კაცი, ხანჯალზე ხელი დაედო და ვიღასაც ემუქრებოდა. ცნობის მოყვარეთა რიცხვმა თან-და-თან იმატა. გეახლათ ბოქაულის თანაშემწეც. ხანჯლიანი რაინდი გამოდგა ერთი ცნობილი „აბლაკატთაგანი“, რომელიც სამოსამართლო ბოქაულს ემუქრებოდა. ბოქაულის თანაშემწემ ერთი-ორი თქვენი მოწონებული უთავაზა და იარაღი აჰყარა „აბლაკატს“, რომელიც არ დამშვიდდა და გაიძახოდა: ან მე უნდა ვიყო ოჩამჩირეში და ან სამოსამართლო ბოქაულიო“. ამ სიტყვების თქმისათვის მეორე დღეს ხელ-წერილი ჩამოართვეს—მეორეთ არ გაბედო ასეთის სიტყვის თქმა, თორემ ციმბირი აქეთ დაგრჩებაო.

საზოგადოება იმასაც ამბობს, რომ ამ „აბლაკატს“ ბევრი ბოროტება ჰბრალდება და სასამართლოში სიარულს უკრძალავენო. მაგალითად, ეს ის აბლაკატი ბრძანდება, რომელმაც ერთ უმნიშვნელო თხოვნის დაწერისათვის 800 მანათი გადაახდევინა ერთის სოფლის გლეხებს და რაკი ფულით ვერ შესძლეს გლეხებმა დაკმაყოფილება, 3—4 მანათში ხარები და ძროხები აუწერა ხელწერილის ძალით, რომელიც თხოვნის დაწერამდე ჩამოართვა საწყლებს და ამ პირუტყვთა ხორცით საყასბო გაალო და ისე გააიაფა ხორცი, რომ ძაღლების გამოსაკვებად ყიდულობდნენ. დრო არის, თუმცა გვიან-კია, აილაგმოს ასეთის „აბლაკატების“ მოქმედება.

ალია.

⁂ **ს. ბახვი** (გურია). **აი როგორ იყო საქმე!** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩემს მცირე შენიშვნას: თქვენის გაზეთის 284 №-ში მოთავსებულია წერილი გურიის სოფელ ბაღდადიდან იმის შესახებ, რომ ერთმა გლეხმა, ჩემდამო რწმუნებულ საზოგადოების მცხოვრებმა, თავისის დაუდგრომელის ხასიათის წყალობით ახალ შერთული ცოლი გაუშვა და ოჯახობაზე ხელი აიღოვო და სხ.; ყოველივე იმ წერილში მოთავსებული სრული სიმართლეა, გარდა ერთისა, სადაც ბ-ნი მოამბე ბრძანებს, რომ ვითომც მე მივსულიყო იმ ვაჟბატონთან, ოქმი შემეყენებინოს და იქვე, მისის ნათესავების ხვეწნა-მუდარის წყალობით დამეხიოს. მართალია, მე, როგორც ადგილობრივმა მამასახლისმა, რა შევიტყე ასეთი თავ-გასულობა იმ ვაჟბატონისა, ადგილობრივვე მიველი და მივეცი სათანადო დარიგება. როცა მან თავისი არ დაიშალა, ამაზე შესაფერი ოქმიც შევაყენე და ჯეროვან ადგილსაც წარვადგინე და არ „დამიხევია“ კი. ამ ერთი შეცდომის გარდა ბ-ნს ილიკოს ყოველივე მართალი აუწუსხავს, რაზედაც თვითონვე დარწმუნდება, თუ მოსძებნის იმ ოქმს თავისს ადგილას.

ბახვის სოფლის მამასახლისი სილიბისტრო დოლიძე.

⁂ **გაენათის მონასტერი.** მნახველები. როგორც დიდი ხნის აქ ნამყოფი ბერები მოგვითხრობენ, იმდენი მნახველები არასოდეს არ ყოფილა, რამდენი ამ უკანასკნელ სამ თვეშია. მოდიან ყოველ დღე, თითქმის ოთხ-ხუთ წყობა, ზოგი ეტლით და ზოგიც ფეხით: ფრანგები, გერმანელები, რუსები და სხვა და სხვა რჯულის ხალხი, რომელთაც მოაქვთ სურათის გადასაღები იარაღები და იღებენ სხვა და სხვა შესანიშნავ ადგილებს, შენობებს, მხატვრობას და სხვ. ჩვენ ჩვენის მხრით ვუხსნით ყველაფრის მნიშვნელობას, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა და მათდა, უფრო მეტ ნაწილმა არ იცის რუსული ენა და ჩვენც გვიძნელდება ფრანგულად კარგად აუხსნათ (გერმანულად მით უმეტეს), რითაც ჩვენც და ისინიც დიდ გულნატკენი ვრჩებით. ზოგიერთებს თვითონ მოჰყავთ თარჯიმანები. ფრანგების ხუთჯერ მეტია, ვიდრე სხვა ხალხი. ჩვენებურები-კი მარტო ერთ დღეს, ე. ი. 8 სექტემბერს, ღვთის მშობლის დაბადების დღეს მოდიან, რადგან თვით ტაძარი ამის სახელზეა აშენებული და ამ დღეს დღესასწაულობენ, მაგრამ მაინც სხვა წლებზე შედარებით საზოგადოება ძლიერ ნაკლები იყო, და ვინც იყო ისიც,—კილაცას ტაძრის ჩრდილო კარებთან ლატარია გაეჩაღებინა და იმას შამოხვეოდა. ნეტავ როდის იქნება, რომ ჩვენებური ხალხი გონს შევიდეს...

ნარ-ბან.

⁂ **ს. ქაჯარი** (იმერეთი.) **ჩხუბი დღეობაზე.** სექტემბრის რვას, სოფ. ქაჯარში (ქუთ. მაზ.) დღესასწაულობენ ღვთის-მშობლობას. ჩვეულებისამებრ, რ. დ—ძეს ჰყავდა დაპატიჟებული სტუმრები. ნასადილევს, როგორც ადგნენ სუფრიდან, ერთს სტუმართაგანს ნ. ნ—ძეს მოუვიდა ჩხუბი მასპინძელთან. მაჩხუბარმა ხანჯალი იძრო, მაგრამ იქავე წაართვეს. მერე ამ რ. დ—ძის ძმის სახლში შევარდა და გამოიტანა გატენილი თოფი, ესროლა მასპინძელს და კინაღამ ამოსწყვიტა რამოდენიმე სული.

თო საცვალის მეტი აღარა შაირჩინეს რა; ყველაფერი მივიდ-მოყიდეს რომ თანხა გაეჩინათ. სახლში არა ჰქონდათ შეშა, ღვინის ერთს ჭიქას კვირაობითაც არ დალევდნენ, სჭამდნენ მხოლოდ შავს პურს. ასეთი თავგანწირულება მუშა-ხელოსნებისა ცხადათ ამტკიცებს, რა უკიდურესს მდგომარეობაში იხრჩობოდნენ ჩარჩებ-მექარხნეების ხელში და რა დიდი იყო სურვილი მათის კლანჭებიდამ დახწევისა.

ამ წვითა და დაგვით 14 კაცის ამხანაგობამ შეაგროვა 20 მარტამდის 1849 წლისა 229 ფრანკი *). ძალიან მცირე იყო ეს თანხა, მაგრამ იგიც ძლივს მოაქუჩეს საწყლებმა. ამ ფულით იყიდეს მასალა, გააკეთეს ფორტეპიანო და გაყიდეს. აღებულის ფულით შეუდგნენ მეორე ფორტეპიანოს კეთებას. სამწუხაროთ დრო ცუდი შეჰხვდათ. მაშინ საფრანგეთში დიდი არეულობა და შფოთი იყო ჩამოვარდნილი და აბა ასეთს დროში მუსიკის და ფორტეპიანისთვის ვისა სცხელოდა. ამიტომ „ამხანაგობა“ პირველ ხანებში ძლივს ახერხებდა სახელოსნოს ხარჯების გასტუმრებას. ჯამაგირებზედ ფიქრი ვის შეეძლო; ძნელია წარმოსადგენათაც-კი, თუ ვითარ გასძლეს ამ ხელოსნებმა ორს თვეს, როგორ და საიდამ იპოვეს იმოდენი სულის ძალა, რომ ისე მამაცურად გაუძლეს სიცივესა და შიმშილს ოღონდაც ესენი იყვნენ მოწამენი სიმართლისა, კეთილის აზრისა, რომელთა მაგალითი საუკეთესო გაკვეთილი და ჭკუის მასწავლებები უნდა იყოს ყველასთვის.

ბოლოს ხავსი გატყდა, როგორც ჩვენში იტყვიან, და 4 მაისს 1849 წელს კარგი საქმე აიღეს. ამ საქმიდამ აღებული ფული გაიყვეს; თითოს ჰხვდებოდა ექვსი ფრანკი. გადასწყვიტეს ხუთ-ხუთი ფრანკი ავიღოთ და გადარჩენილი ფულით ერთი გემრიელი საამხანაგო სადილი გავმართოთ და ერთმანეთი ვადღეგრძელოთო. მთელი წელიწადი სველი ლუკმა არ, ენახათ, ღვინის გემო აღარავის ახსოვდა და უცებ მეჯლისი! თან იცინოდნენ, თან ტიროდნენ სიხარულით საწყლები, როდესაც ცოლ შვილით შეიკრიბნენ საერთო სადილზედ. ერთმანეთს ულოცავდნენ წარმატების ამ ნიშან-წყალს და ჰკოცნიდნენ. ეს საერთო სადილი დარჩა სახსოვრად მათ შორის და დიდის პატივით და სასოებით გაიხსენებდნენ ხოლმე შემდეგში. შემდეგ ამისა ნელ-ნელა სამუშაო იმდენი გაუჩნდათ, რო თითო წევრს „ამხანაგობა აძლევდა კვირაში 5 ფრანკს. ბოლოს თიბათვეში ერთმა მეფურნემ-მეპურემ შეუკვეთა მათ ფორტეფიანო 480 ფრანკად, და აღუთქვა ამ ფულში ამ თავითვე პური ეძლივა ნისიად. ეს წინადადება ძალიან მოეწონათ, რადგან სიმშილი და პურზედ ზრუნვა დიდი ხნობით აღარ შეაწუხებდა. პურს იყოფდნენ ძმურად და უნიშნავდნენ ერთმანეთს ჯამაგირში. ყველას შეეძლო წაეღო იმდენი პური, რაც საკმარისსი იყო მისთვის და მის ოჯახობისთვის. უკეთესობა და სიმკვიდრე ამ „ამხანაგობის“ ნამუშავრისა ნელ-ნელა იზიდავდა საზოგადოების ყურადღებას, აგვისტოს შემოსავალმა იქამდის იმატა, რომ კვირის ჯამაგირი გისადეს 10 ფრანკი, მერე 12, მერე 20. მაგრამ ფულს განგებ ნაკლებს იღებდნენ ხელოსნები და საერთო კასსაში ანარჩუნებდნენ, რომ საერთო საქმე უფრო წარმატებაში წასულიყო. მასალას ყიდულობდნენ საუკეთესოს და ამ რიგად ქიშპობას უწევდნენ საუკეთესო მექარხნეებს. 1850 წლის მიწურულში „ამხანაგობაში“ ითვლებოდა 32 წევრი, გაქცეული ამხანაგები ნელ-ნელა ისევ უბრუნდებოდნენ და ესენიც იღებდნენ. ამავე დროს საერთო თანხა გაუხდათ 40,000 ფრანკი და სახელოსნოს ქირას აძლევდნენ 2,000 ფრანკს. 1863 წელს შეიძინა ამხანაგობამ საკუთრებად უშველებელი ქარხანა, რომელიც მანქანებითა და ორთქლით აკეთებდა საქმეს. თანხა ამხანაგობისა ამ დროს იყო 163,000 ფრანკი. ხოლო 1862 წელს სამხანაგო ქარხანაში გადატრიალდა 205,000 ფრანკი წლის განმავლობაში.

ერთს ერთს ამხანაგთაგანს ჰკითხეს ერთხელ:

— რა უბედურება დაგადგებად თავს, სამუშაო რომ შესწყდეს ხომ უცებ დაჰკარგავდით ამოღენა ხნის ნაწვავ ნაღაგს და ჰკოტრდებოდით.

— მართალია, ბატონო, მიუგო ხელოსანმა: ეს ძრიელ მძიმე საქმე დაგვატყდებოდა თავს, მაგრამ ისიც სათქმელია: საიდამ და როგორ შევსძლებდით უამხანაგობოდ ამოდენა შეძლების შეძენას. ცალკ-ცალკე რომ ვყოფილიყავით, ჩვენც, როგორც სხვები, დღიურად აღებულს ფულს, მწვადივით, დღიურადვე შევჭამდით, დავლევდით და ხელში-კი არაფერი გვეჭირებოდა. გამოვიდოდა ანგარიშიდამ, რომ ჩვენ გვიცხოვრია მხოლოდ იმიტომ, რომ დღიურად ვჭამოთ და ვსვათ და სხვა კაცობრიული ჩვენ არა გვეცხოს-რა ჩვენ გაჭირებაშიაც არ დავეცემით სულით, ვიშრომებთ და გაჭირებას გავუძლებთ.

მართლაც 1858 წელი უმუშაო და უსაქმო წელი იყო ხელოსნებისთვის არსაიდამ არავითარი შეკვეთა და საქმე არა სჩანდა. მაგრამ ამხანაგობამ გაუძლო ამ ჭირის ოფლს და გამარჯვებული გამოვიდა. „ამხანაგობის“ ანგარიშიდგან სჩანს, რომ 1866 წელს ირიცხებოდა 22 წევრი ამხანაგი, საზოგადო თანხა იყო 180,000 ფრ.; შეეკვეთნად სამუშაო იმ წელს, ღირებული 190,000 ფრანკად.

მ. ნ—ძე.

---

*) ფრანკი ჩვენებურად ხუთი შაურია.

* * * **ს. სამიქაო** (იმერეთი). ქაჯაა თუ კაცია? სოფ. სამიქაოში სცხოვრობდა ერთი ვილაც ქ—ლია, ცოლით და ქალ-ვაჟით. ამ ქ—ლიას ჰყავდა მდგმურათ სახლში ადგილობრივი მღვდელი მ—ძე. ქ—ლია და მისი მეუღლე გარდაიცვალნენ, დარჩნენ სახლში მღვდელი და ქ—ლიას ქალ-ვაჟი. (ქალი გასათხოვარია): ამ ობლებს ჰყოლია ბიძა კონდუქტორი, რომელსაც ყავს ცოლი და იქავე სცხოვრობს. ამ კონდუქტორს მოუნდომებია მღვდლის მოშორება თავის ძმის ოჯახიდამ, მაგრამ მღვდელს უთქვამს: თუ თავისი ქალი იტყვის წავალ. მაგრამ იმ ქალმა არ ისურვა მღვდლის ოჯახიდან დათხოვა. ამიტომ კონდუქტორმა უჩივლა, სადაც ჯერ არს, რომელიც ჯერ კიდევ გაურჩეველია. აგერ ორი თვეა მას შემდეგ, რაც ამ მღვდლის სახლის ჭიშკარზე მიადგება ვილაც პირ შეხვეული კაცი და ურაკუნებს; როცა მღვდელი გამოიხედავს, ის ქვას ესვრის. ერთხელ, თურმე, მღვდელმა თოფი ესროლა, მაგრამ ვერ მოახვედრა; ის ვაჟბატონი-კი შემდეგის სიტყვებით წაბრძანდა არხეინათ: „ტყუილად ტყვია წამალს რაზე წვავო, მე ტყვიას არ მოვიხვედრებო." ამას გარდა იმ მღვდლის სიმინდს სჭრის იმ ნაირათ რომ ვერ იტყვით, თუ რკინით არის მოჭრილი, და ხანდახანაც ხილს ნახავენ ნაჭამს. ის პირ ახვეული ვაჟ-ბატონი იმ კონდუქტორის სახლშიაც დაბრძანდება. ამ ორ ოჯახის გარდა სხვაგან არსად დადის თურმე. ორივე ოჯახს ყარაულები ჰყავთ დაყენებული, ეგებ შევიპყროთო, მაგრამ დღემდი ვერ შეუპყრიათ.

მთელ იმ სოფლის მცხოვრებლები შიშის გამო, რომ დაღამდება, გარეთ ვერ გამოდიან. დიდათ სასურველია, ვისიც ჯერ არს, იმ თავხედ ვაჟ-ბატონს შელაგმავდეს, თორემ ისედაც არის სოფლებში ცრუ მორწმუნოება და ეხლა თუ დროისით არ მოისპო ეს უცნაური ამბავი, შიშისგან ამ სოფელში ვერ დადგებიან.

— **ვის ეკუთვნის ბაჟის გადახდა?** ქ. ქუთაისიდან ხონის გზაზე გუბის წყალზე ხიდი წამხდარია და ეტლები და ომნიბუსები ბორანით გადიან მდინარეზე. ომნიბუსის და ეტლის ბაჟს თვითონ იხდიან მეეტლეები, ხოლო მგზავრს ბორნის პატრონი ახდევინებს ბაჟს. ეხლა იმის კითხვა გვინდა, ვისიც ჯერ არს, რომ ვის ეკუთვნის მგზავრებს თუ მეეტლე და მეომნიბუსეებს? თუ მეორე პირებს ეკუთვნის, სასურველია, რომ ვისიც ჯერ არს, დაიხსნიდეს მგზავრებს ამნაირ საქციელისაგა, თორემ მებორნეს ცარცვა გლეჯა უბრალოთ არ ჩაივლის.

ი. ბანძელი.

* * * **ს. ჯიქთომა** (ქვემო იმერეთი). ქარისაგან მოყენებული ზარალი. ჩვენში, საზოგადოთ ქვემო იმერეთში, ყოველგან კარგი მოსავალი მოდის: პური, სიმინდი, ღომი, ფეტვი, ცერცვი, ლობიო და სხვა; აგრეთვე ვენახები, ვინც აკეთებს ისიც ხეირობს კარგად, თუმცა, როგორც საზოგადოთ ყველგან, ისე ჩვენშიაც აბრკოლებს სხვა-და-სხვა ვაზის ავადმყოფობანი. ერთის სიტყვით, ჩვენში რასაც დარგავ და ან დათესავ, ძლიერ ხეირობს, რომ არ აბრკოლებდეს და არ ანახევრებდეს აღმოსავლეთის ქარი. წელს ჩვენში ძლიერ კარგი პირი უჩანდა ქირნახულს და სულყველას იმედი ჰქონდა, ყველაფერი უხვად მოგვივაო. ამ ორის თვის წინად სულ სხვა სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდნენ სოფლები: ყანებით, ვენახებით და ათასნაირი ხეხილებით შემკული მიდამო ახალისებდა კაცის გულს. აგვისტოდან კი გული სტკივა ადამიანს მათის მზერით. ათს აგვისტოს ამოვარდა უეცრად აღმოსავლეთის ქარი, რომელმაც გაათხრა და გაანახევრა მთელის წლის მოსავალი: ყანები დალეწა, ვენახები მიგლიჯ-მოგლიჯა, ჩამოყარა ყურძენი, ხილი და სხვ., ასე რომ საწყალი მუშა ცალიერი დარჩა. რა ჰქნას საწყალმა გლეხკაცმა! სხვა საშუალება არაფერი აქვს, მხოლოდ ქირნახულს შესჩერებია, იმის იმედით-ღა არის, რამე მომივა და იმით ვუშველი ოჯახს, სახელმწიფო გარდასახადს და სხვა საჭიროებასაცო. მაგრამ ხშირად უეცრად უშლის იმედს, როგორც ზევით მოგახსენეთ, ბუნების მოვლენა —აღმოსავლეთის ქარი. ამბობენ მომსწრე მოხუცებულნი, რომ ძველს დროში იმერეთში ასეთი ძლიერი აღმოსავლეთის ქარი არ ჰქროდაო და ასე არას დროს არ აოხრებდა ქირნახულს, როგორც ეხლაო.

რა არის ამის მიზეზი? ამას, რასაკვირველია, ვინც ცოტას ჩაუკვირდება, უეულო მიხვდება. ძველს დროში, რასაკვირველია ჩვენში, ტყეები უფრო ბევრი ყოფილა, ვიდრე ეხლა და ეს გარემოება ქარს ქროლას უშლიდა; უეჭველია, ძალაც ცოტა ექნებოდა და ზარალსაც ვერ იზამდა ამდენს. ეხლა სადღა არის ჩვენში ტყე? თუ სადმე კარგი და თვალსაჩინო ტყეები იყო, რკინის გზის გაყვანის შემდეგ მთლად მოიჭრა და მოსწორდა,—ცალიერი ადგილები-კი ყანებათ აიღეს, ახალის გამრავლებას არავინ ეძებს. ასე წარმოიდგინეთ, რომ ძველს დროში განგებ ამრავლებდნენ თავისს ეზო-ყანებში აღმოსავლეთის მხრიდან ხეებს, რომ ქარისაგან დაეფარათ თავიანთი შენობები და ქირნახული და ასე გაშენებულ ხეებს „საფარს" ეძახდნენ. სად არის ეხლა ან იმისთანა ტყეები და ან „საფრების" მოშენებას ვინ ეძებს? კარგი იქნება, რომ ამისთანა ძველებურს საფრებს ეხლაც ვაშენებდეთ, რაც დიდს სარგებლობას მოგვცემს. რასაკვირველია, ერთის და ორის მეცადინეობით რა იქნება, სულ ყველა უნდა ცდილობდეს, რომ თავისს ეზოს და ყანებს «საფარი» მოუშენოს, რაც ერთი-მეორეს დაფარავს და აღმოსავლეთის ქარი ამდენს ზარალს ველარ იზამს ჩვენში, რამდენსაც ეხლა შვრება.

ნოე ჯიქთომელი

* * *

რედაქციისაგან

ქუთაისში ასლან წირ—ას ამას წინადაც ვწერდით, რომ ძალიანაც რომ გვირძ-ნდოდეს ჩვენის ხელის მომწერთა კე3 ე და საქმების აღსრულება, სრულის ნოუცლელობისა და ოდნავი თავისუფალი დროს უქონლობისა გამო იძულებულნი ვართ, ჩვენდა სამწუხაროდ უარი განვაცხადოთ მეტადრე იმ გვარ დასაქმებაზე, რომელიც მრავალ გზით სიარულს თხოულობს სხვა-დასხვა დაწესებულებაში ამა თუ იმ ცნობათა შესატყობად. ჩვენ ჩვენს პირად მოვალეობას და საქმეს ძლივსღა ავსდივართ და აბა სად შეგვიძლიან კანტორებსა და კანცელარიებში ხეტიალი!

სურამში ნიკ. ჭრელაშვილს—თქვენის წერილიდგან ვერაფერი გავიგეთ რა, რომელ ცილის წამებაზე ბრძანებთ? დაწვრილებით შეგვატყობინეთ რაზედ ან ვიზედ სჩივით.

ხონში ხელის მომწერს—№ 823 რჩევა-დარიგებისათვის არავითარ სასყიდელს არ ვღებულობთ. თქვენს საქმეზე გამოცდილ ვექილს უნდა დაეკითხოთ, ის გიწინამძღვრებთ და იგივე იკისრებს საქმის წარმოებას.

ქარელში მანდილოსანს—გ. ქართველიშვილის გამოცემული „ვეფხვის ტყაოსანი" წერ. კით. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში იყიდება. შეგიძლიან გამოიწეროთ ფას დადებითაც, მხოლოდ გორში მიიღებთ. ფასი ერთი თუმანია.

* * *

სხვა-და-სხვა ამბები

ძველი ქალაქის აღმოჩენა ამერიკაში. ერთმა ამერიკელმა ამ მოკლე ხანში მთელი ძველი ქალაქი იპოვნა ერთს მიყრუებულს უდაბნო ადგილას სახელად [illegible], ველდგან ქვიშაში თავები ამოყუოთ ტაძრებს, სასახლეების და სხვა შენობათა ნანგრევებს. აღმომჩენმა [illegible] არქეოლოგები წაიყვანა, რომელთაც დაასკვნეს რომ ქალაქი [illegible] დროს [illegible], თუმცა გადაწყვეტით არ იციან, სწორედ რომელ ხანს. ქალაქში ორმოცდა ხუთი ტაძარი უპოვნიათ. შენობები ძველ-ინდოელთა ქურუმეს მოეკუთვნებთ. ამ ტაძრებში ინდოელები ღმერთებს მსხვერპლად კაცებსა სწირავდნენ ხოლმე და თან მათდა სასიამოვნოდ სხვერპლს ნელ-ნელა შეჰქცეოდნენ ხოლმე. შენობებში შენახულა მეველებური ქალთა სამკაული, რომელიც უმთავრესად კუს ძვალისგან არის გაკეთებული და სხვა.

* * *

გამოსადეგი ცნობა

ზოგიერთი ცნობანი კალენდარში შემჩნეულნი: არც ერთი საუკუნე არ იწყება ორშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით. ერთისა და იმავე დღით იწყება: ღვინობის თვე და იანვარი, აპრილი და მკათათვე, ქრისტეშობის თვე და ენკენისთვე, თებერვალი, მარტი და გიორგობის თვე; მაშინ როდესაც მაისი თიბათვე და მარიამობის თვე სხვა და სხვა დღეებზედ დგებიან. ამგვარი შემთხვევები ნაკიან წლებში არ მოხდება, მარტივი წელიწადი თავდება იმ დღით, რა დღითაც იწყება,

განცხადებანი

გამოცდილი

მზარეული

ეძებს ადგილს ოჯახში
შეუძლია აგრეთვე ხელზე სამსახური
მოიკითხონ ვერაზე «მოსკოვის ნომრებში» № 7.

ОПЫТНЫЙ ПОВАРЪ
ищетъ мѣста (5—4)

Доводится до свѣдѣнія почтеннѣйшей публики, что
Въ складѣ Д. М. Исаева
Дворц. ул. во дворѣ дома Цовьянова и Сараджева.
Назначена до 30-го Сентября

РАСПРОДАЖА

разнаго полотна,
саратовскихъ сарпинокъ
бумазеи цвѣтной
и бѣлой,
суконныхъ
платковъ, мадепаламъ, а также и
другихъ матерій

съ значительной уступкою
съ фабричныхъ цѣнъ
въ чемъ могутъ убѣдиться господа
покупатели

ПОЛУЧЕНЪ БОЛЬШОЙ ВЫБОРЪ ШЕРСТЯННЫХЪ МАТЕРІЙ
для учебныхъ заведеній

ამით საყოველთაოდ ეუწყება პატივცემულ საზოგადოებას, რომ
დ. მ. ისაევის საწყობში
სასახლის ქუჩა, წოვიანოვის და სარაჯევის სახლის ეზოში
დანიშნულია 30 სექტემბრამდე
დიდი ბაზრობა-იაფობა
ყოველ-გვარი ტილოები. სარატოვის სარპინკები ბუმაზე ფერადი და თეთრი, მიტკლები და სხვა.
ყველა ესენი იყიდება ქარხნების ფასებზე უფრო იაფად
ამ ხანად მიღებულია დიდძალი შალის საქონელი სასწავლებლების მოწაფეთათვის.
(10—6)

ტოკარი
ივანე იათოვიძე
გადმოვიდა ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ე. ხელაძის სტამბის გვერდზე და იღებს შეკვეთს: აკეთებს ჯოხებს, ქოლგებს, დომინოს, დანის ტარებს, მარაოებს, მასრებს და სხვ., აგრეთვე შეაკეთებს ძველებს.
ТОКАРЬ ИВАНЪ IАТОВИДЗЕ
принимаетъ всевозможныя токарныя работы,
а также починяетъ подержанныя вещи.
Лорисъ-Меликовская ул. № 7.
(6—3)



სასტუმრო და ბუფეტი
იუჟნი ნომრები
ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის გვერდზე
ბარონის ქუჩაზე, თამამშევის სახლებში, № 14.

სასტუმროს აქვს 35 სუფთად მოწყობილი ნომერი, დღიურად 50 კაპ., ვიდრე 3 მანათამდე, თვიურ ნაკლებ.

ბუფეტში სადილი ქართული და ევროპიული

ეზოში ჩანებული ბაღი

სადილი, ორის თავის საჭმლიდგან შემდგარი 30 კაპ.; სასმელები ყოველნაირი და იაფად.

მუდამ-ჟამ ცოცხალი თევზი

შეიძლება სადილი სახლშიაც დაიბარონ თვიურად 8 მანათად და მეტად.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სამზარეულოს, რომ საჭმელი მზადდებოდეს სუფთა და ახალის სანოვაგისაგან.

სასტუმროს აქვს სტუმართ გასართობად ორი ბილიარდი: საათში დღისით 20 კაპ., ღამე 30 კაპ.

პატივის-ცემით ი. დ. აბრამიშვილი.

(24—11)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Сентября 1897 г.
სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია